



10377-15-3-2-202010210918



N 15-3/10377

21/10/2020

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორი [REDACTED]
[REDACTED] მიერ თანამშრომლების მიმართ შესაძლო დევნის ფაქტებზე გამოძიების დაწყების
შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავრებით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველს N5541/20 განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა [REDACTED]
[REDACTED] და [REDACTED] ხოლო N5835/20 განცხადებით - მოქალაქე [REDACTED]
ინტერესების დამცველმა ადვოკატმა [REDACTED] განმცხადებლები მიუთითებდნენ სსიპ
„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის [REDACTED]
[REDACTED] მიერ მათი და ტელევიზიის სხვა კრიტიკული აზრის მქონე თანამშრომელთა მიმართ
განხორციელებული დევნის ფაქტებზე, რაც გამოიხატა მათ მიმართ დისციპლინური
პასუხისმგებლობის დაუსაბუთებლად დაკისრებაში, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებასა
და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაში.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელთა განმარტებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და
რადიო“ ყოველთვის გამოირჩეოდა დამოუკიდებლობითა და ნეიტრალური სარედაქციო

პოლიტიკით, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა [REDACTED] დირექტორის პოზიციაზე დანიშვნის შემდეგ.

განმცხადებელთა მტკიცებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ობიექტურობა მიუღებელი იყო ხელისუფლებისთვის, რასაც მოჰყვა [REDACTED] იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან დაუსაბუთებლად გადაყენება და მაუწყებლის დირექტორად [REDACTED] დანიშვნა. დირექტორის პოზიციაზე დანიშვნისთანავე, [REDACTED] გამოავლინა უარყოფითი განწყობა კრიტიკული აზრის მქონე თანამშრომელთა მიმართ¹. ამასთან, ცალკეული სამსახურების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას თანამშრომლები მიკერძოებაში დაადანაშაულა და განმარტა, რომ ხელისუფლების კარგი გადაწყვეტილებებიც უნდა გაშუქებულიყო.

გარდა ამისა, [REDACTED] დაიწყო საკადრო ცვლილებები, რის შედეგადაც სარედაქციო დამოუკიდებლობაზე პასუხისმგებელი პირები ჩამოაცილა შესაბამის პოზიციებს.

წარმოდგენილი განცხადებების შესწავლით გამოიკვეთა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორ [REDACTED] მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით:

- 4 თანამშრომელს, მათთან შეთანხმების გარეშე, შეეცვალა ფუნქციები;
- 3 თანამშრომლის მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება, რომელთაგან ორს დაეკისრა კონკრეტული დისციპლინური სახდელი, ხოლო ერთის მიმართ ვერ იქნა დადგენილი დისციპლინური გადაცდომის ფაქტი;
- 3 თანამშრომელი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

მოცემული საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა:

- 6 პირის მიმართ შრომითი უფლებების დარღვევა;
- 2 პირის მიმართ პირდაპირი დისკრიმინაცია².

განმცხადებლები მიუთითებენ [REDACTED] მიერ მათ მიმართ განხორციელებული შესაძლო დევნის შემდეგ ფაქტებზე:

- [REDACTED] ეპიზოდი

[REDACTED] 2019 წლის 10 აპრილს დაინიშნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის მოადგილედ. დირექტორ [REDACTED] იმპიჩმენტის შემდეგ, მას დაევალა დირექტორის მოვალეობის შესრულება. მის ფუნქციებში შედიოდა ტელევიზიის სამივე პლატფორმის მართვა და სარედაქციო პოლიტიკაში მონაწილეობა, პროგრამული პრიორიტეტების შესრულებაზე პასუხისმგებლობა.

¹ <<https://www.youtube.com/watch?v=94fY6aA6UNk&t=544s>> [ნანახია 22.09.2020].

² საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 24 აპრილის N04-2/4408 და 24 აგვისტოს N13-3/8363 რეკომენდაციები.

დირექტორის პოზიციაზე დანიშვნისთანავე, [REDACTED] დაუპირისპირდა [REDACTED] გადაცემა „მთავარში“, მან პირდაპირ ეთერში განაცხადა³, რომ [REDACTED] მას საჯარო განცხადებებით „შეასხა ტალახი“ და მისგან ელოდებოდა ბოდიშის მოხდას.

ამასთან, ერთ-ერთ ფაქტზე⁴, [REDACTED] გადაწყვეტილებით [REDACTED] მიმართ დაიწყო დისციპლინური საქმისწარმოება. თუმცა [REDACTED] ქმედებაში არ დადასტურდა რაიმე სახის გადაცდომა და დირექტორის ბრძანებით შეწყდა მის მიმართ მიმდინარე დისციპლინური საქმისწარმოება. აღნიშნულის შემდეგ კი [REDACTED] ბრძანებით ცვლილება შევიდა [REDACTED] შრომით ხელშეკრულებაში, რის საფუძველზეც [REDACTED] ჩამოერთვა ძირითადი ფუნქციები და მას მხოლოდ ანგარიშების მომზადების ფუნქცია დარჩა.

საბოლოოდ, მაუწყებელში განვითარებული მოვლენებისა და [REDACTED] მხრიდან განხორციელებული სავარაუდო დევნის გამო, [REDACTED] იძულებული გახდა დაეტოვებინა სამსახური, რადგან არ ეძლეოდა საკუთარი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

• [REDACTED] ეპიზოდი

[REDACTED] 2017 წლიდან მუშაობდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურის წამყვან-რეპორტიორის პოზიციაზე. [REDACTED] ღიად აფიქსირებდა მაუწყებლის ახალი დირექტორის მიმართ კრიტიკას მის მიერ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებისა და თანამშრომლების მიმართ უკანონო ქმედებების გამო⁵. მან ასევე, საჯაროდ გამოხატა პროტესტი ახალი ამბების სამსახურის უფროსის [REDACTED] დაუსაბუთებლად გათავისუფლებას⁶ და [REDACTED] სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის გამო.

2019 წლის 22 ნოემბერს [REDACTED] სატელევიზიო გადაცემაში სტუმრობისას [REDACTED] კრიტიკული ტონი და რესპონდენტებთან ოპონირების სტილი დაუწუნა⁷. 2020 წლის 6 მარტს, [REDACTED] ეცნობა, რომ დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის სახით მისი ეთერიდან ჩამოშორების შესახებ⁸, ხოლო, 2020 წლის 13 მარტს [REDACTED] იმავე ფაქტის გამო გაათავისუფლა სამსახურიდან.⁹

³ <<https://www.youtube.com/watch?v=94fY6aA6UNk>> [ნანახია 22.09.2020].

⁴ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს წევრი [REDACTED] ითხოვდა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2004-2013 წლებში, ეთერში გასულ [REDACTED] სატელევიზიო ინტერვიუების ვიდეომასალას. საბოლოოდ, მოთხოვნილი მასალების გაცემა არ მომხდარა, რადგან ვერ მოხერხდა სრული ინფორმაციის შეკრება, რის გამოც [REDACTED] უარი თქვა ნაკლები მასალის მიღებაზე და ტელევიზიას მისცა დამატებით დრო. ყოველივე აღნიშნულის შესახებ [REDACTED] საქმის კურსში ჩააყენა დირექტორი [REDACTED] ამ უკანასკნელმა პირადი შეხვედრის დროს [REDACTED] განუცხადა, რომ არქივიდან გატანილი იყო მასალა, მას ჩადენილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაული და იგი უნდა ჩამოშორებოდა საქმიანობას.

⁵ <<https://www.youtube.com/watch?v=T82DvWdQ4eI>> [ნანახია 22.09.2020].

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

⁸ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორი [REDACTED] 2020 წლის 6 მარტის №02-05/27 ბრძანება.

⁹ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორი [REDACTED] 2020 წლის 13 მარტის №02-05/29 ბრძანება.

• [REDACTED] ეპიზოდი

[REDACTED] 2018 წლიდან მუშაობდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ რეპორტიორის და შემდგომ, წამყვან-რეპორტიორის პოზიციაზე. იგი იყო საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის გადაცემა „ჰემთევის“ წამყვანი. გარდა ამისა, [REDACTED] არის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ თანამშრომლების ალტერნატიული პროფკავშირის თავმჯდომარე და ხშირად აფიქსირებდა [REDACTED] კრიტიკულ დამოკიდებულებას.

2020 წლის 21 აპრილს [REDACTED] სოციალურ ქსელში განთავსებული პოსტით¹⁰ გააკრიტიკა მაუწყებლის თანამშრომლის [REDACTED] ეთერიდან ჩამოშორების ფაქტი და მიუთითა, რომ მაუწყებლის მენეჯმენტს არ ჰქონდა უფლება ჟურნალისტის სამართლიანი კრიტიკა დისკრედიტაციად აღექვა და მისთვის გამოხატვის თავისუფლება შეეზღუდა.

[REDACTED] 2020 წლის 28 აპრილის №02-26/1004 წერილით მიმართა [REDACTED] და მოსთხოვა მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის, კერძოდ, [REDACTED] ეთერიდან ჩამოშორების საფუძვლად სოციალურ ქსელში ქცევის წესების დარღვევის უარყოფა და განუმარტა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკისრებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობა. მიუხედავად [REDACTED] წერილობითი განმარტებისა, [REDACTED] იგი გაათავისუფლა სამსახურიდან. შესაბამის ბრძანებაში მიეთითა, რომ [REDACTED] მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული პოსტი მიმართული იყო მაუწყებლის დისკრედიტაციისკენ, რაც შრომითი ხელშეკრულებისა და შრომითი პირობების დარღვევას წარმოადგენს. თუმცა, ბრძანებაში¹¹ არ იყო მითითებული, რატომ წარმოადგენდა [REDACTED] პოსტი მაუწყებლის დისკრედიტაციას და რატომ იქნებოდა სამსახურიდან გათავისუფლება პროპორციული პასუხისმგებლობის ზომა.

• [REDACTED] ეპიზოდი

[REDACTED] 2014 წლიდან მუშაობდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურის უფროსის პოზიციაზე. [REDACTED] ახალი ამბების თანამშრომლები, გამართულ შეხვედრაზე ღიად დაადანაშაულა პოლიტიკურ ანგაჟირებაში და პოლიტიკური დაკვეთების შესრულებაში. მისი განმარტებით, იგი აპირებდა მათ მორჯულებას და „ადგილზე მოსმას.“

[REDACTED] 2020 წლის 11 თებერვალს წერილობით ეცნობა, რომ მის მიმართ მიმდინარეობდა დისციპლინური საქმისწარმოება, რომელიც ეხებოდა 2019 წლის 28 თებერვლის ეთერში გასულ გადაცემა „ახალ სივრცეს“, რომელიც დაფინანსებულ იქნა საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ. ხსენებულ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება 2019 წლის თებერვალში გაფორმდა [REDACTED] მიერ, ხელშეკრულება დაიდო უშუალოდ ტელევიზიის იმდროინდელი დირექტორის [REDACTED] მითითებით, ხოლო, ხელშეკრულების საფუძველზე შემოსული თანხა, ტელევიზიის თანამდებობის პირის

¹⁰ <<https://www.facebook.com/GODoftheIR/posts/3505343316158946>> [ნანახია 22.09.2020].

¹¹ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორ [REDACTED] 2020 წლის 11 მაისის №02-05/59 ბრძანება.

მითითებით განაწილდა თანამშრომლებზე. ხსენებული ხელშეკრულება ტელევიზიაში ინახებოდა, როგორც ტელევიზიის დოკუმენტაცია.

მიიჩნია, რომ ამ ხელშეკრულების დადებით ჯეროვნად არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და ზიანი მიაყენა მაუწყებელს, რის გამოც მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან დათხოვნა გამოიყენა¹².

მაუწყებლის დირექტორის ბრძანებაში მითითებული არ იყო, რა სახის ზიანი მიაყენა მაუწყებელს და კონკრეტულად რაში გამოიხატა მისი მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მიმართ მოცემულ დრომდე გამოყენებული არ ყოფილა დისციპლინური სახდელი, მის მიმართ გამოყენებულ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელი. გარდა ამისა, შინაგანაწესის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, შესაბამისი სახდელი უნდა დაკისრებოდა არაუგვიანეს 1 თვისა მის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის გამოვლენის დღიდან. თუმცა, მის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 1 წლის შემდეგ.

• ეპიზოდი

2017 წლიდან მუშაობდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიციაზე. ახალი ამბების სამსახურის თანამშრომლებს შორის გამართულ შეხვედრაზე, საჯაროდ მიუთითა, რომ ის იყო პოლიტიკურად ანგაჟირებული და ასრულებდა პოლიტიკურ დაკვეთებს.

2020 წლის 14 თებერვალს მაუწყებლის დირექტორმა წერილობით აცნობა საშტატო განრიგში ცვლილებების დაგეგმვის თაობაზე და შეატყობინა, რომ დაგეგმილი პროცესის გამო უქმებოდა მისი თანამდებობა და მასთან ამ ფორმით სამართლებრივი ურთიერთობა წყდებოდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, ეცნობა, რომ დირექტორის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოში წარდგენილი პროექტით მოთხოვილი იყო საშტატო განრიგის ცვლილება, რომელიც ეხებოდა სამსახურების უფროსების მოადგილეების შტატის გაუქმებას და მათ ნაცვლად რედაქტორის პოზიციის შექმნას.

წარმოდგენილი ცვლილებებით, ცვლილებები შეეხო 4 სამსახურს და ამ თანამდებობებზე დასაქმებულ 4 პირს, თუმცა, გარდა, ყველა სხვა პირი ახლად შექმნილ საშტატო ერთეულზე გადაინიშნა და მხოლოდ გადაიყვანეს ტელევიზიიდან რადიოს მიმართულებით, რითიც სრულიად შეცვალეს მისი სამუშაო.

¹² სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორი 2020 წლის 28 თებერვლის N02-05/20 ბრძანება.

სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ, ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად წარადგინა. ამ უკანასკნელმა სიუჟეტების დაგეგმვა დაიწყო ჟურნალისტებთან შეთანხმების გარეშე.

ჟურნალისტები ეკითხებოდნენ, თვლიდა თუ არა უსამართლოდ და თანამდებობებიდან გათავისუფლებას. 2020 წლის 13 მარტს, განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო, დისციპლინური სახდელის სახით გამოეცხადათ საყვედური. თუმცა, შესაბამის ბრძანებაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რაში გამოიხატა და მხრიდან ხელმძღვანელი პირების ბულინგი და კონკრეტულად რა მტკიცებულებების საფუძველზე მიიღო დირექტორმა ხსენებული გადაწყვეტილება. ამასთან, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებამდე არ ძიევით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.

• ეპიზოდი

2018 წლის ოქტომბერში, დირექტორ მიერ კონკურსის წესით დასაქმებულ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში“ ონლაინ მედიის სამსახურის უფროსის პოზიციაზე. მის მოვალეობას წარმოადგენდა ონლაინ რეჟიმში მაუწყებლის პლატფორმაზე ახალი ამბების განთავსება. 2020 წლის 8 აპრილს შეთანხმების გარეშე, არსებითად შეიცვალა სამსახურებრივი მოვალეობები და ის ჩამოშორებულ იქნა სარედაქციო საქმიანობას. ამავდროულად არის ალტერნატიული პროფესიული კავშირის წევრი და მისი განმარტებით, დირექტორის გადაწყვეტილება უფლებამოსილების შეზღუდვასთან დაკავშირებით მოტივირებულია მისი განსხვავებული შეხედულებებით და პროფკავშირის წევრობით.

• მიერ განხორციელებული შესაძლო დევნის სხვა ეპიზოდები

გარდა ზემოხსენებული შემთხვევებისა, მხრიდან შესაძლო დევნაზე განაცხადეს მაუწყებლის სხვა თანამშრომლებმა, რომლებიც აქტიურად აპროტესტებდნენ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. კერძოდ:

კორესპონდენტ წერილობით¹³ ეცნობა, რომ იგი გადაყვანილ იქნა ქუთაისის ბიუროში. იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს პარლამენტი ქუთაისში ფუნქციონირებდა, საპარლამენტო კორესპონდენტად მუშაობდა. მისი სამუშაო მოვალეობა ქუთაისში შემოიფარგლებოდა კვირაში ორჯერ ჩასვლით და პარლამენტის სხდომების გაშუქებით. ხოლო, პარლამენტის თბილისში გადატანის შემდეგ, მას ქუთაისში არანაირი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეუსრულებია და ხელშეკრულებაში ქალაქი ქუთაისი უბრალოდ დარჩა. ამასთან, მენეჯმენტმა ოპერატორი არ გამოუყო და დაავალა მხოლოდ რადიოსა და ვებ-გვერდის მიმართულებით მუშაობა. ქუთაისში გადაყვანით, ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკას პრაქტიკულად ჩამოშორდა, რასაც იგი უკავშირებს ტელევიზიის დირექტორის მიერ

¹³ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის N02-26/865 წერილი.

განხორციელებულ მოქმედებებზე, კერძოდ, [REDACTED] დანიშვნასთან დაკავშირებით პროტესტის გამოხატვასა და სხვა ჟურნალისტების მხარდაჭერას.

საინფორმაციო გადაცემის წამყვანმა [REDACTED] სოციალურ ქსელში მაუწყებლის ახალი მენეჯმენტი გააკრიტიკა ვებ-პლატფორმასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გამო. [REDACTED] გადაწყვეტილებით, [REDACTED] ჩამოშორდა ეთერს.

ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, [REDACTED] მიიღო გადაწყვეტილება ცალკეული გადაცემების, მათ შორის გადაცემა „ჰეშთეგის“ ეთერში დროებით არგასვლის შესახებ. გუნდის არაერთი თხოვნის მიუხედავად, მათ არ მიეცათ შესაძლებლობა შეეცვალათ გადაცემის ფორმატი და სხვა გადაცემების მსგავსად, ონლაინ ფორმატით გაგრძელებულიყო აღნიშნული გადაცემა. საგულისხმოა, რომ გადაცემა „ჰეშთეგის“ გუნდის დიდი ნაწილი ალტერნატიული პროფკავშირის წევრია და გადაცემა საკმაოდ კრიტიკულ და მწვავე კითხვებს სვამდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო¹⁴.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დასჯად ქმედებას წარმოადგენს ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით¹⁵. ამასთან, დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იგივე ქმედება ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით¹⁶.

კონსტიტუციით აღიარებული თანასწორუფლებიანობის დაცვისა და ამ პრინციპით ადამიანის დევნის დაუშვებლობის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით¹⁷.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს დევნას ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების გამო¹⁸.

¹⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁷ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სახელმძღვანელო. ავტ. მზია ლევინიშვილი, ნონა თოდუა, ნინო გვენეტაძე, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011. გვ. 296. ხელმისაწვდომია < <https://bit.ly/3kWOIMP> > [ნანახია 22.09.2020].

¹⁸ იქვე.

წარმოდგენილ განცხადებებში აღწერილი ფაქტები ცალსახად მიუთითებს, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორი [REDACTED] ახორციელებდა საკუთარი თანამშრომლების შესაძლო დევნას განსხვავებული აზრის, კერძოდ, მათ მიერ მენეჯმენტის გადაწყვეტილებებზე ღიად დაფიქსირებული კრიტიკული მოსაზრებების გამო.

სავარაუდო დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დირექტორის მიერ მიღებული სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილებებით: კონკრეტული თანამშრომლისთვის ფუნქციების ცალმხრივად შეცვლით, დისციპლინური დევნის დაწყებით და სამსახურიდან გათავისუფლებით, რომლის მოტივიც არის ხსენებული პირების მხრიდან კრიტიკული აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. მნიშვნელოვანია, რომ აღწერილი ფაქტები არ წარმოადგენს ერთეულ შემთხვევებს - შესაძლო დევნის მსხვერპლი გახდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ არაერთი თანამშრომელი, რომლებიც გამოხატავდნენ უკმაყოფილებას და ამასთანავე, წარმოადგენდნენ ალტერნატიული პროფკავშირის წევრებს. ამ მიმართულებით, საგულისხმოა ის გარემოება, რომ სახალხო დამცველმა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ თანამშრომლის მიმართ დაადგინა შრომითი უფლებების დარღვევა და პირდაპირი დისკრიმინაცია. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის გადაწყვეტილებები კონკრეტული თანამშრომლის გათავისუფლებისა თუ სამსახურებრივი მოვალეობების ცვლილების შესახებ, ფორმალურად ეფუძნებოდა სხვადასხვა მიზეზს, რომელთა უმეტესი ნაწილი არაკანონიერია ჩვენი შეფასებით. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილებები იყო დაუსაბუთებელი და რეალურად მიმართული იყო კრიტიკული აზრის მქონე თანამშრომლების მაუწყებლისგან ჩამოშორებისკენ, რაც ზრდის [REDACTED] მხრიდან თანამშრომელთა მიმართ განსხვავებული აზრის გამო განხორციელებულ შესაძლო დევნის ვარაუდს.

საყურადღებოა მოცემულ ფაქტებზე საგამოძიებო უწყების მიერ განხორციელებული რეაგირების შინაარსიც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გვეცნობა, რომ [REDACTED] ასევე, [REDACTED] და [REDACTED] ერთობლივი განცხადების საფუძველზე, გამოიკითხნენ როგორც განცხადებების ავტორები, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის დირექტორი [REDACTED] და ტელევიზიის სხვა თანამშრომლები. გამოკითხვისას ცნობილი გახდა, რომ [REDACTED] და სხვა თანამშრომლებმა, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება გაასაჩივრეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განცხადებებში მითითებული ფაქტები არ შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, გამოძიება არ დაწყებულა¹⁹.

[REDACTED] და [REDACTED] მიერ წარმოდგენილი განცხადებები აშკარად შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რაც საგამოძიებო უწყებას ავალდებულებდა გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებას, თუმცა, საგამოძიებო უწყებამ აღწერილი ფაქტები სამოქალაქო დავის საგნად მიიჩნია. ის გარემოება, რომ განმცხადებლებმა, დარღვეული შრომითი

¹⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 27 ივლისის MIA 4 20 01723725 წერილი.

უფლებების აღდგენის მოთხოვნით სამოქალაქო წესით მიმართეს სასამართლოს, ვერ ჩაითვლება [REDACTED] მხრიდან ჩადენილი შესაძლო დევნის საკმარის საპასუხო მოქმედებად. დარღვეული უფლების აღდგენა და მასთან დაკავშირებული სამართალწარმოება, ამ შემთხვევაში, თავისთავად არ გამოორიცხავს შესაძლო დანაშაულის ნიშნების შემცველ ფაქტებზე გამოძიების ჩატარებას. ამასთან, სასამართლოს მიერ აღნიშნული პირების სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილება და სამსახურში მათი აღდგენა ვერ გამოორიცხავს მათ მიმართ [REDACTED] მიერ დევნის ხელახლა განხორციელების შესაძლებლობას.

გამოძიების არდაწყების საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაუგებარია, ვინაიდან როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხსენებული წერილიდან ირკვევა, ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება - მოწმის გამოკითხვა. სახალხო დამცველის აპარატმა, სხვა ინფორმაციასთან ერთად, სამინისტროდან ასევე გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია, კერძოდ, გამოძიების არდაწყების შემთხვევაში, გამოიკითხნენ თუ არა ხსენებულ ფაქტებთან შემხებლობაში მყოფი პირები და რა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით. თუმცა, აღნიშნული კითხვა სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა და ვერ მიგვითითა მოწმეთა გამოკითხვის სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება²⁰.

ამდენად, კანონმდებლობა საგამოძიებო უწყებას ცალსახად ავალდებულებს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიების დაწყებას. მხოლოდ გამოძიების დაწყების შემდეგ და მის ფარგლებში უნდა ჩატარდეს ყველანაირი საგამოძიებო მოქმედება. მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს გამოძიების წინარე მოქმედების ჩატარების შესაძლებლობას, რომლის შემდეგაც შეიძლება მიღებულ იქნეს გამოძიების დაწყების ან არდაწყების შესახებ გადაწყვეტილება. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის არსებობისას გამოძიების არდაწყებისა და პრაქტიკაში წინარე მოქმედებების ჩატარების პრობლემატიკაზე სახალხო დამცველმა ყურადღება გასულ წლებშიც გაამახვილა.²¹

დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი განცხადებების შესწავლისა და ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ [REDACTED] და [REDACTED] მიერ წარმოდგენილი განცხადებები შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რაც საგამოძიებო ორგანოებს უალტერნატივოდ ავალდებულებს გამოძიების დაწყებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოს გამოძიება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და

²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100-ე მუხლი.

²¹ მაგ., იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში, გვ. 417-426.

რადიოს“ დირექტორ [REDACTED] მხრიდან განმცხადებლებისა და მაუწყებლის სხვა თანამშრომელთა მიმართ შესაძლო დევნის ფაქტებზე.

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული წინადადების განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 192 (ასოთხმოცდათორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

5- 

